სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

09 დეკემბერი 2025

N 21/12599

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

ასლი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 1 დეკემბერს სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე **(ქობულეთის შემოვლითი გზის 4-ზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაცია)** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება. განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/b3e4bbf2-3323-42e4-b4b7-851799173862.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 6 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება: **2026 წლის 21 იანვარს, 14:00 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში; 2026 წლის 21 იანვარს, 17:00 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუცუბნის საჯარო სკოლის შენობაში; 2026 წლის 22 იანვარს, 12:00 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხისძირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში; 2026 წლის 22 იანვარს, 15:00 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბობოყვათის საჯარო სკოლის შენობაში; 2026 წლის 23 იანვარს, 12:00 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საჩინოს საჯარო სკოლის შენობაში; 2026 წლის 23 იანვარს, 15:00 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის N1 საჯარო სკოლის შენობაში.**

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 85-ე და არაუგვიანეს 90-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, **გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.**

ამასთანავე, გთხოვთ, ზემოაღნიშნული გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება უზრუნველყოთ როგორც **ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის** საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ.: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით ზემოაღნიშნული პროექტის გზშ-ის განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ.

საჯარო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (დავით აღმაშენებლის გამზ. N150, 0112, თბილისი; ელფოსტა: eia@mepa.gov.ge, ტელ: +995 32 2439503/+995 32 2439510).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი

- განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და განცხადების თანდართული დოკუმენტები - 12 ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12599-21-2-202512091726